

სტუდენტი და ეთიკა

სტუდენტისთვის შეუფერებელ და არაეთიკურ ქცევად ჩაითვლება:

- ა) სასწავლო პროცესის მიმდინარეობისათვის ხელის შეშლა (ლექციაზე/სემინარზე ხმაური, მობილური ტელეფონით სარგებლობა, დერეფანში აურზაური და სხვა);
 - ბ) აკადემიური სიყალბე (გადაწერა სხვა სტუდენტის ნამუშევრიდან ან გამოყენება სხვა სახის დამხმარე მასალისა, რომელიც პროფესორის/მასწავლებლის მიერ წინასწარ არ არის ნებადართული, სხვა პირის ნამუშევრის, როგორც საკუთარის წარმოჩენა, კვლევითი სამუშაოების ინფორმაციის გაყალბება, ინდივიდუალური დავალების ჯგუფურად მომზადება ან ერთი პირის მიერ მომზადებული დავალების ჯგუფურ ნამუშევრად წარმოჩენა, პლაგიატი - სრულად ან ნაწილობრივ სხვისი ნამუშევრის გადაწერა ავტორისა და წყაროს მითითების გარეშე ან საბაკალავრო/სამაგისტრო/ თეზისის ყიდვა).
 - გ) სხვა სტუდენტისათვის ხელის შეშლა სწავლასა და კვლევის პროცესში საჭირო რესურსების დამალვით, მოპარვით ან განადგურებით;
 - დ) სხვა სტუდენტისათვის აკადემიური სიყალბის ჩადენაში ხელის შეწყობა;
 - ე) სხვა სტუდენტის ნაცვლად გამოცდის ჩაბარება ან სხვა პირის მიერ სხვისი გამოცდის ჩაბარების ფაქტის დამალვა და ხელშეწყობა;
 - ი) გამოცდის შესახებ კონფიდენციალური ინფორმაციის მოპოვება და/ან გავრცელება/გამოყენება;
 - კ) შეფასების მიღების მცდელობა გამომცდელზე ზეწოლით;
 - ლ) დისციპლინური ღონისძიებების გატარების საკითხის აღძვრისათვის უფლებამოსილი პირის მოთხოვნებისადმი დაუმორჩილებლობა.
 - მ) ცრუმოწმობა;
 - ნ) ძალადობა (სიტყვიერი და ფიზიკური), ფიზიკური და/ან სიტყვიერი შეურაცხყოფის მიყენება სხვა სტუდენტების, უნივერსიტეტის პერსონალის წარმომადგენლებისათვის, ბილწსიტყვაობა;
 - ო) განგებ ცრუ ინფორმაციის მიწოდება (ხანძრის, აფეთქების, მუქარის ან სხვა მოვლენების შესახებ);
 - პ) ლექციებსა და სხვა სახის სასწავლო ღონისძიებებზე დაგვიანება.
- აუდიტორიაში სტუდენტის ყოფაქცევაზე პასუხისმგებელია პროფესორ/მასწავლებელი, რომელიც უფლებამოსილია მოსთხოვოს სტუდენტს აუდიტორიის დატოვება (**დანართი 7**).